Nürnberger Empfehlungen/ ნიურნბერგის რეკომენდაციები

22 ქვეყნის ექსპერტების მიერ შექმნილი **ნიურნბერგის რეკომენდაციები** უახლესი ხედვით კომპლექსურად აღწერს ადრეულ ასაკში უცხოური ენის სწავლის სტრუქტურას ოთხიდან ათ წლამდე ბავშვების პოტენციალებისა და მოთხოვნილებების გათვლისწინებით. ამავდროულად ეს დოკუმენტი ადრეულ ასაკში უცხოური ენის შესწავლას განიხილავს არა ერთი რომელიმე კონკრეტული საგანმანათლებლო სისტემის ანდა კონკრეტული ინსტიტუციის პერსპექტივიდან, არამედ ცდილობს შეძლებისდაგვარად უნივერსალური ხედვა შემოგვთავაზოს.

ნიურნბერგის რეკომენდაციებში გათვალისწინებულია არაერთი ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ამ პერიოდის მანძილზე მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცვლილებები, ტექნიკური პროგრესი, რამაც ბავშვებში ახალი მოლოდინები, გამოცდილებები და სურვილები გააჩინა. ეს ყველაფერი ადრეულ ასაკში უცხოური ენის შესწავლის პროცესზე დიდ ზეგავლენას ახდენს. ამავე დროს ადრეულ ასაკში უცხოური ენის სწავლის დაწყებისას ყურადღება უნდა მიექცეს უახლეს მეცნიერულ მიდგომებს, რომლებიც სწავლის ფსიქოლოგიაში ბავშვების ქცევას უკავშირდება.

რეკომენდაციები გამიზნულია ადრეულ ასაკში უცხოური ენის სწავლის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისათვის, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღები პირების, სკოლის დირექტორების, ტრენერების, დამწყები და გამოცდილი მასწავლებლების, აღმზრდელებისა და სტუდენტებისათვის. ამას გარდა ნიურნბერგის რეკომენდაციები საინტერესო იქნება მშობლებისა და ზოგადად ბავშვის უშუალო გარემოში მოქმედი სხვა აქტორებისათვისაც, რომლებიც ბავშვების განათლების პროცესში, მართალია, უშუალოდ არ მონაწილეობენ, მაგრამ გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენენ ბავშვის გნვითარებაზე.

რეკომენდაციების გაცნობა შესაძლებელია როგორც გერმანულ ასევე ქართულ ენებზე.ენის შესაცვლელად დააჭირეთ მარჯვნივ ზედა კუთხეში მდებარე ღილაკს.

ბავშვის სასწავლო გარემო/kindliche Lernumgebung

სიტუაცია და პერსპექტივები/Situationen und Perspektiven

ლიტერატურა/Literatur

გარემო პირობები/Rahmenbedingungen